# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველდღიური გაზეთი **1901** კვირა, 8 აპრილი **№ 1430**

ჯაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ლებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
...ლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...ის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-...კითხვის (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

...ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.**



## საუკეთესო აბრეშუმის ჭიის თესლი

მოიკითხეთ ქ. ბათუმში, მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში. ფასი ზომიერია. (15—15)

### წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან.

...901 წლის აპრილის 12-ს, საღამოს 8 საათზე ...ინულია **საგანგებო კრება** ამხანაგობისა. ...ნიშნულია მდგომარე წლის ზოგიერთი ...ის განხილვა და დამტკიცება. კრებაზე ...ლიანთ დაესწრნენ მხოლოდ ამხანაგო-...წევრთ, რომელთაც სრული პაი აქვთ. ...ბა იქნება ვანქის ქუჩაზე, ამხანაგობის ...მის საწყობში. (3—3)

### ტფილისის კერძო სამკურნალო

#### მკურნალის გედევანიშვილისა.

...ღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

... ო. ჯიჯიხაძე — კბილის სნეულებანი 8 — ... საათამდე.
...ექიმი ა. გედევანიშვილი — ნერვების და ...ობა ელექტრობით — 9 – 10 ს.
... ა მუღიანი — ყურის, ყელის და ცხვირი- ... 11—12 საათამდე.
... ვ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი ...0—2 საათამდე.
... ნ. შატილოვი — თვალის 11—12 ს.
...იმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბაგმშვილისა 11—12 ს.
... ა. გედევანიშვილი — ნერვების და შინა-... —12—1 საათამდე.
... ლ. მარკევიჩი — სადოსტაქრო — $12\frac{1}{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.
ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისის, კანისა და საშარდესი — $1\frac{1}{2}$—2 საათამდე.
მ. ბ. ბუზიარგ:ნოვი — შინაგანი და ბავშვებისა 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5—6 საათამდე.
ა. ა. ბელოგოლოვი — შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. — 5—6 საათზე.
გ. მაღალაშვილი — კვირაობით — 10—12 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ფარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)


## რედაქციისაგან

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ხელის მომწერთ, ვისაც სრულიად არ შემოუტანია დაკვეთილ „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ წლიური ფასი—შემოსატანის მეორე ნაწილი წარუდგინონ რედაქციას პირველ აპრილამდე; წინაამდეგ შემთხვევაში რედაქცია 10 აპრილიდან აღარ გაუგზავნის გაზეთს.

## მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას: გრენადერთა საპერნი პოლკის პორუჩიკი გაბაშვილი გადაყვანილ იქმნა ლეიბ-გვარდიის საპერნი ბატალიონში.

სამხედრო ტოპოგრაფს კაპიტანს ბენაშვილს ებოძა პოდპოლკოვნიკობა.

## ტფილისის სახალხო სახლი.

ტფილისის სახალხო სახლის აშენების საქმეს ბედი ეწია. ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობისა და საზოგადოების გულგრილობამ ძალიან შეაფერხა ეს საქმე. თვით-მმართველობამ ვერც შესაფერი ადგილი გაიმეტა ამ სახლისათვის, ვერც ფული გაიღო; საზოგადოებაში კი სამის წლის განმავლობაში ძლივს შეგროვდა 14 ათას მანეთამდე. ასე რომ, ბოლოს დროს, საქმის გულშემატკივართ იმედი დაეკარგათ რიგიანის შენობის აგებისა; ხოლო საქმის გამგეებმა გადასწყვიტეს აეგოთ პატარა შენობა ფრიად უხერხულ ადგილას—ვერაზე, მტკვრის ნაპირას.

საბედნიეროდ, ამ ჟამად ეს დიდი საქმე გამობრუნდა, და ეხლა სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი სასურველად და კარგად დაგვირგვინდება. ეს სასიამოვნო სასწაული მოახდინა ძმათა ზუბალიშვილთა შეწირულებამ; მათ, თანხმად ახლად გარდაცვალებულის მამის სურვილისა, გადადეს სახალხო სახლის აშენებისათვის 100 ათასი მანეთი. ეს უხვი შეწირულება, უეჭველია, საკმაოდ წინ წასწევს მეტად საჭირო და სიმპატიურს საქმეს.

შემომწირველთ, სხვათა შორის, ის პირობა დაუდვიათ, რომ სახალხო სახლი უთუოდ ცენტრალურს ალაგას იქმნას აგებული. ეს პირობა ძალიან ხელსაყრელია, რადგანაც ცენტრალურ სახლს შეეძლება დააკმაყოფილოს ქალაქის ყველა უბნების მცხოვრებთა საჭიროება; ხოლო ზოგიერთ შორეულ განაპირა ადგილებში შეიძლება შემდეგში აშენდეს ისეთივე პატარა სადგომები, როგორიც ეხლაა ავჭალის ქუჩაზე.

ბ.ბ. ზუბალაშვილების სურვილის აღსრულებისათვის საჭიროა მოიძებნოს კარგი და შესაფერი ადგილი ქალაქის შუაგულ ნაწილებში. ამის მოწყობა, ჩვენის ფიქრით, ქალაქის თვით-მმართველობამ უნდა იკისროს, რომელსაც შემომწირველნი აკუთვნებენ მომავალ სახლს. დროა, ჩვენი ქალაქის თვით-მმართველობამ შეიგნოს სახალხო სახლის დიდი საჭიროება და მეტის თანაგრძნობით მოეკიდოს თავის პირდაპირს ვალდებულებას! მართალია, ამ საქმეს დღეს თავისი მზრუნველი ჰყავს—განსაკუთრებული კომიტეტი, მაგრამ მარტო კომიტეტი რას გახდება, თუ თვით-მმართველობა და საზოგადოება გულგრილად დარჩა?!

მომავალი სახალხო სახლი დიდი და მოხდენილი უნდა იქმნას. შიგ უნდა მოთავსდნენ როგორც თეატრი, ისე სახალხო კითხვათა დარბაზი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო და სხვა ამ გვარი დაწესებულებანი. ამ გვარ სახლის აშენებას დიდი ფული დასჭირდება და, ჩვენის აზრით, 100 ათასი მანათი, რომელიც ზუბალაშვილებმა შესწირეს, სულ სახლის აგებას უნდა მოხმარდეს; ხოლო ადგილის მოპოვებისა და შეძენისათვის, თუ მუქთად (შემოწირულებით) ვერ იშოვება, ან ქალაქი ვერ შესწირავს, სხვა წყარო უნდა გამოიძებნოს.

რაც შეეხება თვით ადგილს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო უმჯობესი იქნება ერთი იმ სამ ადგილთაგანი, რომელთა შესახებ უკვე იყო ლაპარაკი ჩვენს გაზეთში. ესენი არიან: 1) ვერის ხიდის თავდაღმართის მოედანი, სადაც შეშის ბაზარია გამართული: 2) კიროჩნის და წყლის პირის ქუჩების კუთხე, სადაც ველოსიპედთა ტრეკია და 3) თვით ზუბალაშვილთა ადგილი „ლონ-

## ფელეტონი

### ჩაილდ-ჰაროლდი.

(ჰეინედან)

გულ-მკერდს გაშლილს ლურჯს ზღვაზე
...ნავი მოჭქრის მოწყენილი,
...შიგ კუბო სდგას თავ-ახდილი,
...კარს ამაღა დაღვრემილი.

მშვიდად, წყნარად შიგ პოეტსა
...იმ ქვეყნისა ძილით სძინავს,
...მტრედის ფერი ნორჩი თვალი
...მისი ღვთიურს ნათელს ჰხედავს.

ჩუ! ზღვიდგანა ნაღვლიანი
...ისმის გმინვა,—ნიმფა სტირის;
...ტალღა ტალღას მოწყენილად
...სცემს, ასკდება და მისტირის!

დავიწყებული.

### აღდგომა

პოლ ბურჟესი

(ფრანგულით)

I

...ოდა, ხევდიანად ადიოდა ელისაბეტ დე... მისის ვილლის პარკის კედელს მიბ...ლ ბორცვის ქედზე. ავიდა თუ არა ...ზე, ჩამოჯდა. ეს ტერასა იმ დროს ...ებინა, როცა თავის თავს ბედნიერა...ვლიდა, როცა მისმა გულმა ჯერ ...სა და ნაღველისა არა იცოდა რა. აქედან მისს თვალებს ფრიანდაზად ეშლებოდა მთელი სივრცე ზღვისა და მთელს პროვანსში არსებულ მთათა. მერე ისე თვალწარმტაცი და მომხიბვლელი იყო ეს სივრცე ზღვისა და ეს სივრცე მთათა, რომ იერის მიდამოთა ამ ნაწილს კოტბელი (ლამაზი მხარე) დაერქვა მეტ სახელად. ძირს ალეპის ფიჭვთა უსწორმასწორო კენწეროთ მწვანედ ხასხასი გაჭქონდათ და ზღვის ნიავზე ირთოდნენ. ზღვა კი შორს, ცის დასავალსა, ლურჯად ციალებდა. ერთის მხრით შემოზღუდულიყო ჟიანის ნახევარკუნძულის ორ გრძელ და წვრილ გზატკეცილით, ხოლო მეორე მხრით ბრეგანსონის სიმაგრე ერტყა. პორკეროლის კუნძული და მისი ფხიანი კლდეები, მისი შიშველი ტრამალები შორს ცისკიდურს უერთდებოდა. ახალგაზდა ქალის მარჯვნივ შავად და გრძლად წამოზიდულიყვნენ მთის მწვერვალნი, ხოლო მათს ძირში იერის თეთრი სახლები ჩაემწკრივებინათ. ამ ტყეს, ზღვას, კუნძულებს, ბორცვებს, თეთრ სახლებს მარტის მზე დიდებულად და უხვად აფრქვევდა თავის სხივებს. ხოლო ახლოს კი ესევე სანეტარო და ღვთაებრივი მზე გაზაფხულისა ტკბილად ეალერსებოდა ვარდებით შემკულს ვილლას და პარკთან მიკრულ ბაღის ხეივნებს, სადაც აყვავებული მიმოზა, იისფერი ირისი, თეთრი და წითელი ყარამფილი, ყვითელი ვარდი და ფართე ანემონიები მეტად შვენოდნენ და იქაურობას სამოთხეს ამსგავსებდნენ. ფიჭვნარში ხის სიმაღლედ გაზრდილი თაფლი-ვეღლისა ზღვის ნიავზე ნაზ თეთრ მტევნებს არხევდა. ნიავთან ერთად მოდიოდა ზღვის სუნიცა, მას უერთდებოდა ფიჭვისა, ყვავილებისა, ველურ მცენარეთა, როზმარინისა და ცისტის სუნი. შიგა და შიგ ეგზოტიურნი მცენარენი მოსჩანდნენ: ინდის ხურმის ფართე ფურცლებიანი პალმები, გაღუნულ სატევრის მსგავსი ფოთლები აგავისა, იუკას გაფხავებული წვერი. და მთელს ამ სათაყვანო სურათს თითქმის აღმოსავლეთურ გაზაფხულისას ზედ ერთვოდა ეკკლესიის ზარის ხმა და თვისის წმიდა ჯადოთი უმეტესად აღფრთოვანებდა, უმეტესად აკეთილშობილებდა. ამ პატარა ეკკლესიას ლამაზი სახელი ჰქვიან—„ნუგეშისა ღვთისმშობლისა“ და მთელსამ მხარეს დაჰყურებს. მისის ზარის ხმა ამ ბრწყინვალებით მოსილს, ნელ-თბილს და სურნელებით შეზავებულს ჰაერში ვერცხლის წკრიალივით ისმოდა. ზარის რეკვა ყველას აუწყებდა, რომ ეს დიდებული დილა გაზაფხულისა—დილა იყო აგრეთვე აღდგომისა, და ეს დღესასწაული მკვდრეთით აღდგომისა ისე საუცხოვოდ ეხამებოდა მსოფლიოდ მოფენილს სიხარულს სიცოცხლისას, რომ მომჯადოებელი ბუნებაც ამ მზისა, ზღვისა და ყვავილთა შემწეობით თითქო აცხადებდა: სიყვარულმა გაიმარჯვა, სიყვარულმა დათრგუნა სიკვდილით...

II

აბა სწორედ ეს დღესასწაული სიცოცხლისა ბუნებასა და ეკკლესიაში, ცათა შინა და ქვეყანასა ზედა გამეფებული, ეს მომხიბვლელი დილა აღდგომისა ახალგაზდა ქალს მწარე ტაეშნით ჰკვსებდა გულს. შავი ძაძა, მისს ნაზსა და ქერა ლამაზ სახეს გულის ამჩვილებელ გრაციით რომ ამშვენებდა, იმას მოწმობდა, რომ მისი უსასოო გული მგლოვიარედ იყო. ნამეტან ტირილისაგან თითქმის ჩაშრეტილი ლურჯი თვალები მისი თითქო იკოდება და ვეღარ უძლებს მშვენიერის დილის სხივოსნობის ჰვრეტასაო. რამდენიც ჩამოჰკრავდნენ ზარს, იმდენი მწარე ნაღველი ეფინებოდა ფერმკრთალ სახეზე. ამ ოთხის თვის წინად ვაჟი მოუკვდა, ერთად-ერთი ვაჟი და მისს დაჰრილს გულს უფრო სდიოდა სისხლი, როცა უყურებდა გაზაფხულის ფეერიას, რომელსაც მისი ვაჟი, მისი ანდრე, მეტად ვეღარ ნახავდა, როცა ყურს უგდებდა ღვთისადმი, ზეცად აღდგენილ ლოცვას. იმ ღვთისადმი რომელსაც ახლა აღარ ევედრებოდა, რომლისათვისაც ვეღარ შეეძლო ევედრნა მას აქედ, რაც თავისი პირმშო ხელიდან გამოაცალა. ტერასაზე ჩამომჯდარი, სასოწარკვეთილი მაშინალურისა და გულგრილის სახით უყურებდა, ყოველსავე. სამოთხისებურ ცისკიდურის ყოველ კუთხიდან ერთი მეორეზე უმშვენიერესნი და დაუსრულებელნი სურათნი თვალ წინ უდგებოდნენ და ამ სურათებს თან მისდევდა მთელი გროვა დაუსრულებელთავე მოგონებათა. და მაშინ უფრო ცხადად წარმოუდგებოდა თავისი უბედურობა და ბეჩავობა, მაშინ უფრო მტანჯველი და აუტანელი ხდებოდა მისთვის ყოველი კნინი ამ უბედურებისა და

დონის“ სასტუმროს გვერდით, რომელზედაც ამ დღეებში „ნოვ. ობოზრენიე“ უთითებდა. თითოეული ამ ადგილთაგანი შესაფერისი იქნება და საჭირო საქმის მოთავეთ თავდაპირველად ამათ მოპოებაზე იზრუნონ.

საჭიროა აგრეთვე საქმის დაჩქარება. ტფილისის ხალხში დღითი-დღე ძლიერდება ცოდნათა შეძენისა და ამასთანავე გონივრულ დროს გატარების სურვილი. ეს სურვილი კმაყოფილდება, სხვათა შორის, სახალხო კითხვათა და ლექციების გამართვით, სახალხო სამკითხველოების მოწყობით, სახალხო წარმოდგენების გამართვით და სხვა. ამ ჟამად ხალხის სურვილი, სამწუხაროდ, ნაკლებ კმაყოფილდება, რის მიზეზიც, სხვათა შორის, შენობის უქონლობაა. ავჭალის ქუჩაზე არსებული შენობა მეტად მცირეა და შეუფერებელი; ის ვერ იტევს მსურველთა მესამედსაც და, გარდა ამისა, იმდენად უხერხულია, რომ ბევრს სურვილი ეკარგება მასში შესვლისა და დიდხანს ყოფნისა.

დღეს ძმათა ზუბალაშვილების უხვმა შეწირულებამ შეძლება მოგვცა არა-თუ შესაფერისი შენობა ავაგოთ, არამედ მალეც განვახორციელოთ დიდი საქმე. საჭიროა მხოლოდ ენერგია გამგეთა და მეტი გულშემატკივრობა ქალაქისა და საზოგადოებისაგან.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

6 აპრილი.

**პეტერბურგი.** დიდი მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასული რომანოვსკისა, ჰერცოგინია ლიხტენბერგისა 5 აპრილს ყირიმში წაბრძანდა.

6 აპრილს საფრანგეთის ელჩი მარკიზი მონტებელლო დაბრუნდა პეტერბურგში.

**ტიუმენი.** გემები ირბიტში წავიდნენ.

**შლისსელბურგი.** ნევა სათავიდან 48 ვერსის მანძილზედ ყინულისაგან გაიწმინდა. ლადოგის ტბიდან ნევაზე დიდ-ძალი ყინული მოდის.

**ლონდონი.** აქაურს გაზეთებს პეკინიდან ატყობინებენ: ლიხუნგჩანგმა მიჰმართა იმპერატორსა და შანსის გუბერნატორს დეპეშით, რომლითაც თხოულობს, რომ ჯარები გაყვანილ იქმნენ ჩეილის საზღვრებიდან.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო წინადადება შაქარსა და ნახშირზედ ბაჟის შემოღების შესახებ.

**პეკინი.** გუშინდელს სხდომაზედ ელჩებმა მოიწონეს მთავარი აზრი გენერლების გეგმისა, რომელიც შეეხება ციხე-სიმაგრეთა დაქცევას, სამხედრო სადარაჯო რაზმის დაწესებას და ჩინეთიდან შეერთებულის ჯარების თანდათანობით გაყვანას; ჯარების გამოყვანა დაიწყება პაოტინფუდან, თუ იქ მყოფი ჯარი არ შეეტაკა იმ ექსპედიციას, რომელიც პაოტინფუსკენ გაემართა.

**ტიანძინი.** განზრახვა აქვთ სიონფუში ექსპედიცია გაგზავნონ. ჩინელები კი ჯარებს ჰკრებენ, რათა ხელი შეუშალონ ამ განზრახვას.

**იოკაჰამა.** ფინანსთა მინისტრი უარზედა სდგას—არ ვიკისრებ პასუხის გებას რკინის გზებისა და სხვა სახელმწიფო საქმეთა დაწყების გამო, და მტკიცედ ადგია იმ აზრს, რომ მთელი კაბინეტია პასუხის მგებელი ფინანსთა მინისტრის მოქმედების გამო. მოელიან, რომ მთელი კაბინეტი სამსახურს თავს დაანებებს. ფინანსთა მინისტრის გარდა, უმეტესი ნაწილი მინისტრებისა ახალის კაბინეტის წევრებად დარჩებიან.

**ბელგრადი.** ახალის კონსტიტუციის გამოცხადებას დაესწრო რვაასი მიპატიჟებული წარმომადგენელი მხარის სხვა და სხვა პარტიისა, ახალი სენატორები, გენერალიტეტი, სასულიერო წოდება. მეფე დედოფალს ალტაცებით მიეგებნენ. მეფემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, 1894-ში გამოცხადებული პროკლამაციით დანაპირები ავასრულე და ხალხს მივეცი ახალი კონსტიტუციაო; ეს კონსტიტუცია უზრუნველ ჰყოფს მთელს სამოქალაქო თავისუფლებასო. ეს თავისუფლება სჭირია ხალხს განსავითარებლად დღეინდელ პროგრესსის დროსაო. ამის შემდეგ მინისტრ პრეზიდენტმა ვუიჩმა წაიკითხა პროკლამაცია სერბთა მიმართ და ახალი კონსტიტუცია, რომელზედაც მეფის ხელია მოწერილი. მეფემ განაცხადა, აღთქმასა ვსდებ წმიდად დავიცვა ეგ კონსტიტუციაო და იმედი გამოსთქვა, ხალხი პატივისცემით მოეკიდება მასაო. დამსწრე საზოგადოებამ დიდი ოვაცია გაუკეთა მეფე-დედოფალს.

**ბელგრადი.** ახალი კონსკტიტუციის ძალით, მეფისაგან დანიშნულ ოცდა ათ სენატორში თერთმეტი რადიკალია, ათი ნაპრედნიაკი, ოთხი ლიბერალი და დანარჩენი ნეიტრალი

**ლონდონი.** კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან, რომ მეცხრე ულანის პოლკის რაზმი წააწყდა ჩასაფრებულ ბურებს; ერთი პორუჩიკია და სამი ჯარისკაცი მოკლული, ხუთი კაცი დაჭრილია.

**ქრისტიანია.** დღეს კაბინეტის საბჭომ დაადგინა წარუდგინოს პალატებს მეფის პროექტი მოსაგერებელ მიზნისათვის საჭირო საგანგებო ხარჯის შესახებ.

7 აპრილი.

**ბელგრადი.** მეფის პროკლამაციაში ნათქვამია, რომ, 1888 წლის კონსტიტუციის ძალით, კანონმდებელ დაწესებულებას უფლება მიეცა ჩარეოდა აღმასრულებელ დაწესებულების საქმეში, რომელიც ამის გამო ხშირად ბრკოლდებოდა; 1769 წლის კონსტიტუცია კი პირ იქით ისეთს უპირატესობას აძლევდა აღმასრულებელ მმართველობას, რომ საერო კრება სრულიად განდევნილ იყო სახემწიფო საქმეების მართვა გამგეობიდან.

ახალმა კონსტიტუციამ უნდა დაამყაროს წესიერი ურთი—ერთობა ორ ხსენებულ დაწესებულებათა შორის; „სერბიამო, ამბობს დასასრულს პროკლამაცია, რაც შეიძლება ჩქარა უნდა გარდასწყვიტოს კითხვა თავის შინაურ ორგანიზაციის შესახებ, რათა შეიძლოს შემდეგ იზრუნოს სასოფლო მეურნეობას გაძლიერებისა, ფინანსების გაუმჯობესობისა, მხედრობის მომატებისა და სხვა კულტურულ მხარეების განვითაებებისათვის.

**ნიუ-იორკი.** შეერთებულ შტატების ტაქსატორების ბიურომ, რომელიც სამი კაცისაგან შესდგება, ის აზრი გამოსთქვა დღეს, რომ შეერთებულ შტატებს ნება აქვთ დამატებითი ბაჟი დაადვან რუსეთიდან შემოტანილს შაქარს. ერთმა წევრმა განსაკუთრებული აზრი გამოსთქვა.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატამ დაადგინა, რომ მთავრობას ნება აქვს აიღოს 60 მილიონი გირვანქა სტერლ. სესხი.

**პარიზი.** ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა ვერა ჟელო, რუსი ახალგაზდა ქალი, რომელმაც თავისი ამხანაგი ქალი ზელენინა მოჰკლა, როდესაც დეშანელს რევოლვერი ესროლა.

**ლონდონი.** ახალი ბაჟი დღეიდან შედის ძალაში. რამწამს პალატამ დაამტკიცა იგი, შაქრის ვაჭრებმა მაშინვე ... ქარზე ფასი—გირვანქაზე ნახევარ პენნი.

**პეკინი.** ენერგიულის მოთხოვნით ... თავრესად საფრანგეთის ... ჩინეთის იმპერატორმა 3 აპრილს ბრძანება გასცა, რომ დაუყოვნებლივ წაყვანილ იქმნას ... ნეთის ჯარი ტუაიუდან.

**ჩისტოპოლი.** კამაში წყალია ცამეტ არ... შინით მაღლა წამოვიდა. ხორბლით გემებს ჰტვირთავენ.

---

# ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ «ტაიმს»-ის პეკინელ კორესპონდენტს დოქტორ მორისონს, მეტად მოსწონებია რუ... სეთის უარი მანჯურიის შესახებ ხელშეკრულ... ბაზე. მით უმეტეს გასახარია რუსეთის უარი,—ამბობს კორესპონდენტი,—რომ წინად რუსეთ... მეტად დიდ მუქარას უთვლიდა ჩინეთს, რომ ამას ხელი არ მოეწერა ხელშეკრულობა... ზე, ეხლა კი ისე მოიმდაბლა თავი რუსეთმ... თითქო მას სიკეთის მეტი სხვა არაფერი ეწადა ჩინეთისათვის. ჩინელებს კარგად ესმ... რომ რუსეთმა სხვა სახელმწიფოების შიშ... აიღო ხელი მანჯურიაზე, რომ სხვა სახელმ... ფოებს უფრო დიდი ძალა ჰქონიათ, სანამ რუ... სეთსაო. აქამდე კი რუსეთს დიდი გავლ... ჰქონდა ჩინეთზე; ჩინელები დარწმუნებულ... იყვნენ, რომ მხოლოდ რუსეთის მუქარისა უნ... ეშინოდეთო. ეს რწმენა ეხლა ძლიერ გაქარწყლ... მით უმეტეს, რომ ამ საქმეში დიდს რო... თამაშობდა იაპონია, რომელსაც რუსეთი აქა... ზიზღით უყურებდაო.

«ასეთს შედეგს,—ამბობს კორესპონდენტი,— დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოთა თან... წორობისათვის შორეულ აღმოსავლეთში, მაგ... ამას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინე... შინაგან მდგომარეობისათვის. ჩინეთი არას... დეს არა ყოფილა ისე აღფრთოვანებული უც... ელთადმი სიძულვილით, როგორც ეხლა. უ... გან იმართება საზოგადო კრებები, გაზეთე... იბეჭდება წერილები უცხოელების წინააღმ... იმპერატორს პირდაპირ დეპეშებს უგზავნიან... ეველა ეს წარმოადგენს აქამდე უნახავს და ... გონარ ამბებს; ამას გარდა ვიცე-კოროლ... პირდაპირ შეუთვალეს იმპერატორს, რომ ... ნი არ დაემორჩილებიან მანჯურიის შეს... ხელშეკრულობას, თუნდაც რომ იმპერატო... ხელი მოაწეროს ამ ხელშეკრულობას. ჩინე... სათვის ახალ მოვლენად ჩაითვლება ისიც, ... ამ საქმეში მნიშვნელობა ჰქონდა ახლად გა...

---

ბედშავობისა. თითქმის უცები სიკვდილი ექვსის წლის ვაჟისა, ტვინის ანთებამ რამდენსამე დღეში ციმციმ რომ გამოაცალა ხელიდან, ოღონდაც რომ ეყოფოდა სადარდელად და სამწუხაროდ: ბავშვის სიკვდილთან ერთად მომხდარი ამბავი უფრო უმწვავებდა ამ მწუხარებას, და ახალგაზდა ქალი დახატულ ბუნების წინაშე ხელ-ახლა იგონებდა წარსულს ამბავს...

ეს სარკისებური წყალი მყუდრო ზღვის ყურისა ნაწილია იმ გარდაუვალ ზღვისა, საიდანაც მისი ქმარი, ლიუდოვიგ დე-ფრანგი, საზღვაო აფიცერი, ამ ათის თვის წინად უნდა გასულიყო შორეულ აღმოსავლეთში სამგზავროდ. თვითონ გააცილა ტულონამდე ბედნიერმა დედამ და დაღონებულმა ცოლმა! და ახლა, როცა ქმრის სიახლოვე აგრე მჭირია, რომ გავუძლო ამ საშინელ მწუხარებას, ის კი ცხრა მთის მანძილითა მშორავსო. როდის-და, როდის-და დაბრუნდება, რომ გამამხნევოს, ნუგეში მცეს, ცხოვრება სულ არ მომაყივნოს და ჩემის მოვალეობის აღსრულება შემაძლებინოსო?.. მაგრამ რომელი მოვალეობა? ზარის რეკვა წირვის დადგომას აუწყებდა ყველას, ყველას იწოდებდა, და იმას კი მისი აღშფოთებული გული მის მოსასმენად წასვლას უშლიდა; ეს ზარის რეკვა მეტად მკაფიოდ, მეტად გარკვევით ეუბნებოდა უნუგეშო დედას ამ მოვალეობის შესახებ. ქალბატონი დე-ფრენი ზეზედ რომ წამომდგარიყო, იმ გზაზე, რომელიც ვილლის კარებიდან ეკკლესიისაკენ გველივით მიიკლანკებოდა, დაინახავდა პონის ჟიზსის ცხენებ-შებმულ პატარა ეტლს და შიგ მსხდომარე ბავშვებს—ცხრა წლის ვაჟსა და რვა წლის გოგონას. ეს ორი ბავშვი, გიუ და ალისა, მისს ქმარს პირველის ცოლის ხელში გაუჩნდა; ყველაფერი აგონდებოდა ახალგაზდა ქალს. როცა საზღვაო ოფიცერი შეირთო, რომელიც ამავე დროს მისი ბიძა-შვილიც იყო, გულ-წრფელად ებრალებოდა ეს ორი ობოლი. მთელმა სინიდისმა უთხრა—მიცვალებული დედის მაგიერობა გაუწიე ამ საწყლებსაო, და ბავშვებმა, მართლაც, 9—10 წლამდე არც კი იცოდნენ, რომ ის მათი ღვიძლი დედა არ იყო! როცა თვითონაც გაუჩნდა ვაჟი, უმეტესის გულმოდგინეობით სცდილობდა ორივე თავისს ღვიძლ შვილში არ გაერჩია! თავს არც კი ატანდა ძალას ამ გრძნობის გამოცხადების დროს. სანამ სამივე ქერა ბავშვი მის გარშემო დარბოდნენ, თამაშობდნენ და იცინოდნენ, მისი გული თავისებურად, ბუნებრივად იყოფოდა სამსავეს შორის... ეხლა რატომ ამასვე არა გრძნობდა ახალგაზდა ქალი?..

რატომ?.. საკმაო იყო მარცხნივ მოეხედნა, იმ ადგილისაკენ, რომელსაც ეგრე კარგად იცნობდა, რომ ამ კითხვის პასუხი მიეღო. იქ, ქალაქის ... მდებარე სახლების უკან მიწა ... იყო და სასაფლაოვო მოსჩანდა... იმ დღიდან მოკიდებული, რა დღესაც თავისი ვალით დაინახა—იმდენი გულის სიმაგრეც შესწევდა,—როგორ ჩასცურდა გრძელის თოკებით პაწია კუბო ანდრესი ახლად გაჭრილს სამარეში, იმ დღიდან მოკიდებული, მისს გულში საშინელმა გრძნობამ დაისადგურა. შეებრძოლა ამ გრძნობას, მაგრამ ამაოდ; მერმეც სულ მუდამ იმას ებრძოდა, მაგრამ ისევ ამაოდ... და აჰა, ამ დღეს აწაულის დილას ამ გრძნობამ უმეტესის სიძლიერით გამსჭვალა მისი გული. თავის ქმრის ბავშვებისათვის ველარ ეპატიებინა მათი მხიარულება, ახალგაზდობა, სიარული, ლაპარაკი, სუნთქვა, არსებობა იმ დროს, როცა მისი პირმშო გაუნძრევლად საფლავში ესვენა. ახლა ესენი არამცთუ არ უყვარდა, ხანდისხან ეგონა კიდეც—მძულს ორივეო. და ამ ფიქრზე მთელს არსებაში ჟრუანტელი უვლიდა სინიდისის მხილებისაგან; დიაღ, სძულდა, თითქო ამათ მოეპაროთო მიცვალებულისათვის მისი წილი სიხარული, სიმართლე, სინათლე. როცა დაუძახებდნენ: „დედილო“, ქალს საშინელი და ავადმყოფური სურვილი აიტანდა მათთვის დაეყვირნა: „ხმა ჩაიწყვიტეთ, მე თქვენი დედა არა ვარ!..“ არ უნდოდა იმათ „დედა“ დაეძახნათ, რადგან ის ძვირფასი და ნაზი პირი, რომელსაც მხოლოდ ჰქონდა უფლება ამის დაძახებისა, საუკუნოდ იყო დადუმებული.

გერების მიმართ მისს გულში დასადგურებულმა სიძულვილმა ამ დილას უფრო ძლიერად აღაშფოთა და აიტაცა. უნდოდა, წინა-წლების მსგავსად, თითონ, თავის ხელით მიეცა მათთვის სააღდგომო წითელი კვერცხები. ვითომ და რად უნდა გასჭირვებოდა მათი მოალერსება, სამართლიანობის გამოჩენა: მაინც ეს უსამართლო სიძულვილი ... უფრო უღიდდებოდა, უფრო თავს ძა... ატანდა, რომ არც ერთ მოქმედებაში დასტყობიყო ეს მომაკვდინებელი გრძნ... სიძულვილისა. ბავშვები მის ოთახში შე... ვიდნენ. იმანაც დაინახა მათი, მოუთმ... ლობით გაბრწყინვებული თვალები. ხე... კანკალით გახსნეს ხის მსხვილი, შედებ... კვერცხები, სახე გაუბრწყინდათ, როცა ... ინახეს დედის მიერ შიგ ჩალაგებული ჩუქრები: ვაჟმა—ლამაზი ქინძისთავი, ქა... —ჯვრიანი ძეწკვი... ღმერთო! რა უღ... ბელ ჯალათად და მტარვალად ეჩვ... ქალს ეს ორი უმანკო არსება! ორმავე ... ლში დანა გაუტარა მხოლოდ იმით, ... არ დაჰფარეს და აჩვენეს თავიანთი გუ... უბრყვილო სიხარული, სიამოვნება სიხა... ლისა და ქვეყნად არსებობისა, რაიცა მ... შავს სამოსელსაც კი მხიარულ ფე... ჰფენდა! ამ დროს დედას გონებაში წარ... უდგა მიცვალებული შვილი და თავის ... ცოცხლო თვალებით საყვედური უთხრა: ... დედი, რად დამივიწყეო? ქვითინი ყე... მოებჯინა, მაგრამ შიგვე ჩაიკლა. და ... ამ მწარე ნაღვლის გასაქარვებლად შამოვ... აქეთ მარტო, ამ ტერასაზე ჩამოსაჯდომ... გიუ და ალისა კი წირვაზე გაისტუ... დიახ, დარდის გასაქარვებლად წამოვ... მაგრამ ის კი დაავიწყდა, რომ მისს გუ... ჰრილობას, დაამების მაგიერ, უარესად ეხსნებოდა პირი მთელის ... ენების სიხა... ლის დანახვაზე.

(დასასრული იქნება)

...ეროვნულ თვით მოყვარეობას, რომელ...რ მისცა ნება ჩინეთს დაენებებინა რუს...თვის სწორედ ის პროვინცია, სადაც ჩინ...უპსტრონო და უიარაღო ქვეშევრდომნი ქა...თა და ბავშვებით ულვთოდ იყვნენ დახო...ნი რუსების მიერ».

...გერმანიის ქვეითა ჯარის მე-6 კორპუ...უფროსს ბრძანება მიუცია პოლკის მღვდლე...ვის, რომ ამიერიდან პოლონელ ჯარის ...ს პოლონურ ენაზე აღარ უქადაგონ. ამ ...უსში, რომელიც სილეზიაში სდგას, ბევრი ...ონელი მსახურებს.

...ინგლისელი ჯარების უკან დაბრუნება სა...თ-აფრიკიდან ინგლისში, როგორც ეტყო...ვევე დაიწყო. ამას წინად ლორდ კიტჩე...ა გამოაცხადა, რომ, რადგანაც ინგლისი...ახალი ჯარები მოვიდა, ამიტომ ქვეითა ...ს ვოლონტიორთა 18 როტა და საინჟინე...ჯარის 6 როტა სამშობლოში გაიგზავნე... მოკლე ხანში სხვა რაზმებიც დაბრუნ...ან ინგლისში—ინგლისელი ვოლონტიორები ...ილიციონერები უკვე დიდი ხანია ჩივიან, ...ისინი ვადაზე მეტი გაახერეს ბრძოლის ...ზე, როდესაც ავსტრალიელი, კანადელი და ...რეთ აფრიკაში მცხოვრებ ინგლისელებში ...ებილი ვოლონტიორები და კიდევ რამდე...ნაწილი მუდმივი ჯარისა უკვე დიდი ხა...მან დაბრუნდნენო. ამ ჩივილსა და უკმაყო...ებას არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს იმ ...ზთა შორის, რომელთა მეოხებითაც ინგ...ს მთავრობას ჰსურს, რაც შეიძლება მალე ...ვოს ომი, ის ომი, რომლის შედეგებიც, ...უნდა სასურველად გათავდეს ის ინგლისელები...ის, მაინც ვერ დაჰფარავენ ყველა ხარჯსა ...მსხვერპლსა, რომელიც ამ ომს მოუნდა. ...ლ დღე ეს ზარალი და მსხვერპლი მატუ...ს და ამასთან ერთად მატულობს სამხრეთ ...იკის დაღუპვა და აოხრებაც, რის გამოც ...ისელებს უფრო და უფრო ესპობათ იმე..., რომ როდისმე შეიძლონ თავიანთ ხარჯის ...ზარალის დაფარვა სამხრეთ აფრიკის შემო...იდან. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ლორდი ...ნერი არ დაერიდებოდა და კიდევ გააჩერებდა ...ისის ვოლონტიორებს, რომ ზავის ჩამოგ...ს იმედი არ ჰქონდეს.

...ლონდონიდან და კაპშტადტიდან მოსული ...მები 28 მარტის რიცხვით, საბუთს ...ლევენ ვიფიქროთ, რომ ლორდ კიტჩენერსა ...ენერალ ბოტას შუა მოლაპარაკება ხელმეო...დაწყებულა. როგორცა სჩანს, მოლაპარაკე...სევ ინგლისელებს დაუწყიათ პირველებს. ...ანაც კიტჩენერის მიერ თებერვალში დადე...ი პირობები ბოტამ ბეჯითად უარჰყო და ...ს მთავრობასაც კი არ წარუდგინა განსახი...ად, ამიტომ შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ...ისელები ეხლა უფრო კარგ პირობებს აძ...ნ ბურებს და ბევრს რასმე უთმობენ, თუ ...რთალია ის ცნობა, რომ ბოტაც დასთანხმ...ოლაპარაკების გამართვასაო. უნდა გავიხსე...ისიც, რომ პირველი მოლაპარაკების შემ...დღევანდლამდე არაფერი არ მომხდარა ისე...რასაც შეეძლო ძალა დაეტანებინა ბურები...ის და მათთვის უსათუოდ ზავის ჩამოგდება ...ღომებინა. გენერალ პლუმერის გადამქრებას ...ლოეთისაკენ და მის-მიერ პიტერსბურგის ...რას არავითარი შესამჩნევი ზარალი არ მო...ია ბურებისათვის. ერთის სიტყვით, ამ ...ს დროს ისეთი არა მომხდარა-რა, რომ ...ბს ბრძოლის განგრძობის ხალისი დაჰკარ...თ.

...ელა ზემოდ ნათქვამი საბუთს გვაძლევს ვი...ოთ, რომ სამხრეთ-აფრიკის ომი, რომე... უკვე 18 თვეა, რაც სწარმოებს, იქნება მა...დასრულდეს და ისიც ბურების სასარგებ...ლოდ და სასახელოდ დასრულდეს.

...როდესაც საფრანგეთის პალატამ მიიღო ...ნი ასოციაციების შესახებ, საფრანგეთში ...ცელდა ხმა, ვითომ რომის პაპმა გადასწ...ა ეკკლესიიდან განრიცხოს ყველა ის დეპუ...ები და სენატორები, რომლებიც ვალდეკ...ოს პროექტის მომხრეები იყვნენ და აგრე...ყველა ის კერძო პირები, რომლებიც დათ...ილ კონგრეგაციების მამულებს შეიძენენო. ...თაობაზე პაპის ნუნცი აცხადებს შემდეგს: ...განაც ასოციაციების შესახებ კანონ-პროექტი ჯერ სენატის-მიერ დამტკიცებული არ არის, ამიტომ ის ჯერ კანონად არ ჩაითვლება; ამის გამო ყველა ის ხმები იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცევა პაპი, როდესაც ეს კანონი საბოლოოდ მიღებული იქმნება,—ჯერ ნაადრევად ადრეულია. ყოველ შემთხვევაში მას, ნუნცის, ამ საგნის შესახებ ჯერ არავითარი ბრძანება არ მოჰსვლია ვატიკანიდან.

✿ ინგლ. გაზ. «მანჩესტერ გვარდიან»-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ის კომიტეტი, რომელიც დანიშნულია სამხედრო სამინისტროს რეორგანიზაციის შესასწავლად, დარწმუნდა, რომ უსათუოდ საჭიროა ჯარის მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაციის მოხდენაო, ესე იგი ეს მართვა გამგეობა იმნაირად უნდა შეიცვალოს, რომ ყოველი სამხედრო ოლქი უფრო დამოუკიდებელი იყოს, სანამ აქამდე იყოო. კერძოთ, ირლანდიის შესახებ, კომიტეტმა დიდის თანაგრძნობით მიიღო პროექტი, რომლის თანახმად ირლანდიაში ცალკე სამხედრო-ადმინისტრატიული ცენტრი უნდა დაწესდეს; ამ ცენტრის მხედველობაში მთელი ირლანდიის ჯარები იქნებიან. ამბობენ, რომ ეს პროექტი თვით ლორდ რობერტსის შედგენილიაო.

✿ ამასწინად ლონდონში, გაიდ-პარკში, ყველა ძველებურ ქანდაკებების საუბედუროდ, მომხდარა კრება შინაური მოსამსახურე კაცებისა და ქალებისა. 5000 სულზე მეტი დასწრებია ამ კრებას. თავმჯდომარედ აურჩევიათ ერთი დიდ კაცის მებუფეთე; სხვა მოლაპარაკებათა შორის კრებაზე სიტყვა წარმოუთქვამს ერთ მოსამსახურე ქალსაც, კრებას უმთავრესად მსჯელობა ჰქონდა მოსამსახურეების სადგომებზე, რომლებსაც მათ ბატონები აძლევენ. თუმცა ლონდონში, შედარებით, მაგალითად, რუსეთთან, მოსამსახურეებს კაი სადგომები ეძლევათ, მით მაინც მოსამსახურეები სჩივიან, რომ ბატონები ცუდ ოთახებს გვაძლევერო. კრებამ დაადგინა: ეთხოვოს მთავრობას, რომ მან დაავალოს სასანიტარო ინსპექტორებს ყური უგდონ მოსამსახურეთა სადგომებს ისე, როგორც ყურს უგდებენ ფაბრიკის მუშების სადგომებსაო, რომ ინსპექტორებმა მოსთხოვონ მოსამსახურეების დამქირავებლებს, რათა მათი ოთახები საკმაოდ სუფთა და ფართო იყოსო და სხვ.

ერთი რუსული გაზეთი ამბობს ამის გამო: «ჩვენში რომ ესეთი წესი შემოიღონ, ნეტა რამოდენა სამუშაო გაუჩნდებათ სასანიტარო ინსპექტორებსა, რადგანაც რუსეთში მზარეულ ქალებს პირდაპირ სამზარეულოში სძინავთ და მოსამსახურე ქალებს კიბეებს ქვეშ».

## ახალი ამბავი

✦ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფ. ქალაქის თავს შეაჩეროს საბჭოს 29 მარტის დადგენილება საქალაქო არჩევნების ერთ საარჩევნო კრებაზე მოხდენის შესახებ, რადგანაც ეს დადგენილება უნდა განიხილოს საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მიწერილობა ტფილისის სახელოსნო სკოლის გადაკეთების დაჩქარების შესახებ გუშინ განიხილა ტფილისის ქალაქის გამგეობამ და დაადგინა გადასცეს იგი სასწავლებელთა გამგე კომისიას ამ საგანზე აზრის წარმოსადგენად.

✦ ვაჭრობის და მრეწველობის ტფილისის კომიტეტმა, თანახმად მომავალ საიუბილეო გამოფენის კომისარის თხოვნისა, გაუგზავნა ამიერ კავკასიის უმთავრეს მრეწველთ თხოვნები მიიღონ მონაწილეობა გამოფენაში და ხელი შეუწყონ მის გამართვას. ამგვარი თხოვნები კომიტეტს 300-ზე მეტი გაუგზავნია.

✦ ერევნისა და ალექსანდროპოლის (გუმბრის) ქალაქის თვით-მმართველობათ გადაუდვიათ ორი კავკასიის საიუბილეო გამოფენის ...ევრად: პირველს—500 მანეთი და მეორეს—200 მანეთი.

✦ რკინის გზათა დეპარტამენტის დირექტორმა ბ-ნმა ციგლერმა დეპეშით შეატყობინა კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის კომისარს, რომ გამოფენაზედ ექსპონატების რკინის გზით გადასაზიდავად შედგენილი შეღავათიანი ტარიფი გამოცხადებულ იქმნება 7 აპრილსაო.

✦ დღეს, 8 აპრილს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, ტფილისის 1-ლ სავაჟო გიმნაზიის სადგომში მოხდება მეორე კრება იმ პირთა, რომელთაც განუზრახავთ დაარსონ ტფილისში მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოების განყოფილება. კრებამ უნდა განიხილოს განყოფილების წესდება.

✦ ამ დღეებში მოწვეულ იქმნება კრება იმ პირთა, რომელთაც განუზრახავთ დააარსონ ტფილისში საზოგადოება სწავლა-განათლების გასავრცელებლად ტფილისის გუბერნიაში. კრებას წარედგინება წესდება საბოლოოდ განსახილველად.

✦ პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ ფინანსთა სამინისტროს გადაუწყვეტია შეადგინოს რუკა კავკასიის ეკონომიური მდგომარეობისა.

✦ გზათა სამინისტროს განკარგულებით, წელს, ზაფხულში, სწრაფის მატარებლებით გადაიტანენ ხოლმე პეტერბურგსა და მოსკოვში ყირიმიდან და კავკასიიდან ღვინოს, ხილს და ყვავილებს.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროში დაიწყო მუშაობა იმ კომისიისა, რომელსაც დაევალა შეიმუშავოს პროექტი ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშათა დაზღვევის შესახებ უბედურ შემთხვევებისაგან.

✦ ჩვენ გუშინ აღნიშნული გვქონდა, რომ ქუთაისის საბჭოს კომისია ქალაქის თავად ასახელებს ნ. ბ. ღოღობერიძეს; გარდა ამისა, „ნოვ. ობოზრ“-ს სიტყვით, ასახელებენ კიდევ ნაფიც ვექილს დ. ა. ლორთქიფანიძესა და განჯის საოლქო სასამართლოს წევრს ვ. ნ. აბულაძეს.

✦ კავკასიის სამხედრო ოლქის სათადარიგო ჯარის-კაცთ წელს მოიწვევენ ვარჯიშობისათვის მომავალ ოქტომბერში.

✦ წარსულ წლის 17 ოქტომბრისა და 30 დეკემბრის სხდომებზე კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა დაადგინა შეუდგეს ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის ბაღში იმ ხეების მოსპობას, რომელთაც აღმოაჩნდათ ერთგვარი ავადმყოფობა—ფესვების სიდამპლე. ამ დღეებში საფილოქსერო კომიტეტის თავჯდომარემ შეატყობინა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ რადგანაც კომიტეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს თვის ცდას სნეულ ნერგების მოსპობის დროს, დაგვისახელეთ აღნიშნულს ბაღში ის ნაწილიო, სადაც კომიტეტი თვისის დადგენილების განხორციელებას უნდა შეუდგესო.

✦ როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, სათანადო მთავრობამ ნება დართო ჭიათურაში საურთიერთო კრედიტის საზოგადოებას გახსნისა. ეხლა გვატყობინებენ, რომ უკვე საკმაო წევრთ შეუტანიათ საწევრო ფული (100 მან.). ასე რომ განზრახვა აქვთ ახლო მომავალში დანიშნონ კრება კრედიტის საზოგადოების გამგეობისა და მოხელეთა ამოსარჩევად, რათა მალე შეუდგნენ საქმეს.

✦ გუშინ ტფილისიდან წავიდა ახალციხესა და ახალქალაქში ტფილისის საოლქო სასამართლოს განყოფილება ადგილობრივ საქმეთა განსახილველად.

✦ ამ ჟამად ტფილისის საშუალო სასწავლებლებში ქალაქს 43 სტიპენდიანტი ჰყავს, 34 ქალი და 9 ვაჟი; ამ რიცხვში აბესალომოვის სახელობაზე დაარსებული სტიპენდიებიც არის.

✦ იურიევის უნივერსიტეტიდან დაუთხოვნიათ 176 სტუდენტი, რომელთაც სწავლის ფული ვერ გადაუხდიათ.

✦ სამხედრო სამინისტროს საბჭოს განუმარტავს, რომ ადგილობრივ სამხედრო მმართველობებმა დროზედ უნდა აღძრან კითხვა იმ პატრონების დაჯილდოვების შესახებ, რომელთა მიწებს ჯარების საჭიროებისთვის იჭერენ და არ დაუცადონ ხოლმე, ვიდრე თითონ პატრონები ამის შესახებ თხოვნებს წარმოადგენდნენ.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრს შესტაკოვს აღუძრავს კითხვა იმის შესახებ, რომ დამატებითი ჯამაგირები ...ლებს... საქალაქო სკოლების იმ მასწავლებლებს, რომელთაც დიდი ხანი უმსახურნიათ. გამგეობამ მოიწონა ეს წინადადება და გადასცა განსახილველად სასწავლებელთა გამგე კომისიას.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭოს შემდეგი მორიგი კრება დანიშნულია ხვალ, 9 აპრილისათვის. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს შემდეგ საქმეებს: შუამდგომლობას მღ. ცინცაძისას „ლოტკის გორაზედ“ მართმადიდებელთა ეკკლესიის ასაგებად ქალაქის მიწის დათმობის შესახებ, 2) დადგენილებას ქალაქის გამგეობისას მუშა საქონელზედ დაწესებულ გარდასახადის დროზედ შემოუტანლობისათვის ჯარიმის დაარსების შესახებ, 3) მოხსენებას ქალაქის გამგეობისას ქალაქიდან ნაგვის გასაზიდად ქალაქის ურმების მოწყობა-მომართვის შესახებ, 4) შუამდგომლობას ბ-ნ არზუმანოვისას ციციანოვის ქუჩაზედ ხალხის ასაყვან-ჩამოსაყვან მაშინის გამართვის შესახებ, 5) მოხსენებას გამგეობისას ქალაქის სამმართველოში მოხელე-მოსამსახურეთათვის საპენსიო კასის დაარსების შესახებ; 6) მოხსენებას ქალაქის გამგეობისას ქალაქის მიწის ნავთის ჰპლის იჯარით გაცემის შესახებ და სხვათ. საბჭოში განსახილველად სულ დანიშნულია 10 საქმემდე.

✦ სოფ. შემოქმედიდან (გურია) გვწერენ: „აქაურ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ ბ. ვ. ურუშაძის და ძმათა წუწუნავების თაოსნობით 3 აპრილს გაიმართა ქართული წარმოდგენა. დადგმულ იქმნა სამი სხვა-და-სხვა პიესა. დარბაზში ტევა არ იყო. წარმოდგენიდან შემოვიდა 62 მ. 59 კ., დაიხარჯა 20 მან. 17 კაპ., დარჩა სამკითხველოს 42 მან. 72 კაპ., რომელიც გამგეს გადაეცა. ეს ფული სულზე მისწრებაა წიგნთსაცავისათვის; ამიტომ დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ საქველმოქმედო წარმოდგენის გამმართველნი და დამხმარენი“.

✦ თელავიდან გვატყობინებენ, რომ 3 აპრილს, დილის 6 საათსა და 5 წუთზე, იქ საგრძნობელი მიწის ძვრა ყოფილა.

✦ გუშინ, 7 აპრილისათვის, დანიშნული სხდომა ქალაქის საბჭოს იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ნატახტარის წყაროების გამოკვლევის საქმე, არ შესდგა წევრთა დაუსწრებლობის გამო. სხდომა გადაიდო 10 აპრილისათვის.

✦ სოფ. წინწყაროდან (ტფ. მაზრა) იტყობინებიან, რომ 2 აპრილს იქ შემდეგი უბედურება მომხდარა: ადგილობრივი მცხოვრები აზარია მარაბაევი მაყრებით მიდიოდა თავის საცოლეს სახლისაკენ. მაყრები ჩვეულებისამებრ თოფებს ისროდენ. სოფელში დიდძალი ხალხი გამოვიდა სეირის საყურებლად. ამ დროს ერთის სახლის ბანზე საშინელი ყვირილი შეიქმნა: აღმოჩნდა რომ ტყვია მოხვედროდა ბანზე მდგომ 7 წლის ბავშვს სიმონ მარაბაევს და მძიმედ დაეჭრა იგი მუცელში და აგრეთვე მეორე ბავშვსაც, 12 წლის ისპარა კალიჩაევს, რომელიც იმ წამსვე გარდაცვლილიყო.

✦ ამ ჟამად საერო განათლების სამინისტროსა და სხვა უწყებათა გამგებლობაში 83 ათასი სასწავლებელი ყოფილა; მათ შორის 50 უმაღლესი სასწავლებელია.

✦ ამ წლის 23 ნოემბერს შესრულდება 200 წელიწადი მას შემდეგ, რაც რუსეთში დაარსდა პირველი კერძო აფთიაქი. რუსეთის საფარმაცევტო საზოგადოებას განზრახვა აქვს იდღესასწაულოს ეს იუბილეი.

✦ „ნოვ. ობოზრ“-ს სწერენ ბაქოდან, რომ ამ დღეებში იქ ბალახანისა და პრიუტის ქუჩებზე კასპის გემების ზღვაოსნებს უწესოება მოუხდენიათ, რომლის მოსასპობლად საჭირო შეიქნა პოლიციის ჩარევაო.

✦ 12 აპრილს ტეხნიკოსთა საგანგებო კომისია საგუბერნიო ინჟინერის ბუტკევიჩის

თავმჯდომარეობით დაათვალიერებს დახურულ ბაზარს.

✦ 2 აპრილს დაასაფლავეს ოდესაში პლიუშჩეკსკის ქალი, რომლის გარდაცვალების ამბავი ტფილისში ჩვენ თავის დროზე ვაუწყეთ მკითხველთ.

✦ დაბა საჩხერიდან გვწერენ: ათი-თორმეტი დღის წინად დაბა ქიათურიდგან სახლში ღამით მიდიოდა ს. სპეთის მცხოვრები გლეხი ბერია ჩხიტუნიძე და უცაბედად კლდეზე გადავარდნილიყო. მეორე დღეს 8 საჟენის სიმაღლის კლდიდან ჩამოვარდნილი საწყალი ჩხიტუნიძე მთლად დამსხვრეულ-დამტვრეული იპოვნეს უკვე მკვდარი.

✦ ხუთშაბათს, 5 აპრილს, პოლიციის ნაწილში, პოლიციის მოხელემ მიიყვანა 7 დღის დაბადებული ბავშვი, რომელიც საზაფხულო ჩითის საბანში გახვეული აბასთუმნის ქუჩაზე სადეზინფექციო კამერის პირდაპირ ღობის ძირში მიგდებული ენახა. ბავშვი გაიგზავნა ოლგას საბებიო ინსტიტუტში.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში, მადათოვის კუნძულზე, ხუთშაბათს, 5 აპრილს, ღამის 11 საათზე, ტფილისის ცხენის რკინის გზის მე-78 ვაგონი ისე ძლიერად დაეტაკა ეტლს №-531, რომ მეეტლე ბესო გაბრიელისძე ზარიძე ძირს ჩამოვარდა და ძრიელ დაშავდა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

✦ ტფილისში მოვიდა პაპოვების ფირმის მიერ მოწვეული ჩინელი ლიუნ-ძიუნ-ჯოუ, რომელმაც უნდა მოაწყოს და გააფართოვოს ჩაის ვაჭრობის საქმე ტფილისში.

# პროვინცია

**დაბა საჩხერე.** საზოგადოდ ჩვენსკენ მცხოვრებთა მშრომელი უმრავლესობა წინა წლებთან შედარებით მეტად ცუდს მდგომარეობაშია იმ გარემოებისა გამო, რომ წელს მეტად შეფერხდა ქიათურის შავიქვის წარმოების საქმე და ხალხს ხელიდან გამოეცალა საშუალება ცოტაოდენ საშრომო ქირის აღებისა თვისი ოჯახის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; ესეთი გარემოება ჩვენი კუთხისათვის მით უფრო საგრძნობელია, რომ მიწის სივიწროვისა გამო სარჩო არამც თუ გასასყიდად და ორიოდ გროშის გამოსარჩენად არამედ თვის გამოსაკვებლადაც თუ ჰყოფნის, და სხვა წყარო კი არა აქვს-რა ხალხს ქონებრივად მოღონიერდეს. არავითარს დარგს მრეწველობისას—მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას, მებაღე-მებოსტნეობას, თამბაქოს მოყვანას და სხვას—ჩვენსკენ აქამდე ნიადაგი არ შექმნია და მიწის შემუშავება კი ისევ ისე ძველებურად არის დაყენებული და აი ამ გარემოების გამოა, რომ ყოვლად ჩამორჩენილი და გაღატაკ-გაღარიბებული კუთხეა ჩვენი მხარე. რაღა თქმა უნდა, როცა კუჭზე ზრუნვას მეოთხედი ნაყოფი არ მოაქვს, ძნელად თუ სულიერმა გაუმჯობესობამ—სწავლა-განათლების საქმემ—ფეხი მოიკიდოს და რაიმე თვალ-საჩინო კვალი დაატყოს უფერულს მიმქრალ-მიმკვდარებულს, კუს ნაბიჯით მღოღავს, ცხოვრებას. ეს თუმცესეა, მაგრამ იმედი გვაქვს უკეთესის მოსავლისა. საჩხერემდე რკინის გზის გაყვანის მოლოდინით, რაც, ადრე თუ გვიან, ხელს შეუწყობს ხალხის გამორკვევა-გამოფხიზლების საქმეს. ჩვენსკენ წელს მეტად გახშირდა სოფლებში ქურდობისა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენა; როგორც უკვე ადრე გვქონდა თქვენს პატივცემულ გაზეთში აღნიშნული, ქურდ-ბაცაცებმა ეკკლესიებიც კი გატეხეს ექვს-შვიდ სოფელში და ისე წვრიმალ ქურდობას ხომ ნულარ იტყვით. ამ წლის თებერვლის შუა რიცხვებში საჩხერის ნაწილის ბოქაულმა ბ-ნმა ჟღენტმა იმდენი სიყოჩაღე გამოიჩინა, რომ ს. ჩიხას მცხოვრები გლეხი ილარიონ ტალახაძე, რომელიც ციმბირიდან ეს ერთი წელიწადი გამოქცეული იყო, შეიპყრო და წარუდგინა მაზრის უფროს. ბოქაული მოსალოდნელ უბედურებას არ შეუშინდა, გამბედავად თავს დაესხა პოლიციის მოხელეებით ტალახაძეს მაშინ, როცა მას შუაღამისას თავის სახლში მოსვენებით ეძინა. ესევე ბოქაული 25 მარტს, ბზობა დღეს, გამოუდგა, როგორც ამბობენ, ყაჩაღებს, რომელთაგან ერთი სროლის დროს მოჰკლა: აი საქმე როგორ იყო: საჩხერეში მოსულიყო ქუთათური ებრაელი არონა ციციაშვილი, რომელსაც საჩხერის ვაჭრებისაგან რაღაც ნისიები ჰქონებოდა ასაღები; მოსაქმების შემდეგ ციციაშვილი ისევ უკან დაბრუნებულიყო და როცა მიეღწია სოფ. სარეკის ბოლომდე, აქ მას შეჰყროდა ორი კაცი, რომელთაც, ებრაელის განცხადებით, 1000 მან. და 60 მან. ღირებული ქამარი წაერთმიათ. ციციაშვილთან ორი სხვაც ყოფილიყო, მაგრამ მათთვის წინააღმდეგობა ვერ გაეწიათ; ერთი ებრაელთაგანი მაშინათვე უკან დაბრუნებულა და ეს ამბავი საჩხერის ბოქაულის ჟღენტისათვის შეუტყობინებია. ბოქაულს მაშინათვე პოლიციის ყარაულები გაუყვია ორ ნაწილად; ერთი საჩხერის პოლიციის ბოქაულის გაგუასათვის ჩაუბარებია ყაჩაღების უკან გამოსადევნებლად, და მეორე ნაწილს თვით გასძღოლია და წასულა სოფელ პასიეთის ტყეებში ყაჩაღების საძებნელად. ასე, დღის 11 საათი ყოფილა, ჟღენტი ყარაულებით წინ შეფეთებია ორს უცნობს კაცს, რომელნიც, როგორც კი დაუნახავთ ბოქაული, მაშინვე უკან გაბრუნებულან და გაქცეულან; მათ უკან გამოსდევნებიან პოლიციელები, რომელთაც თუმცა მიუძახებიათ: „შეჩერდით, თორემ მოგკლავთო“, მაგრამ მათ აინუნშიაც არ ჩაუგდიათ მათი დაძახება და როცა გასულან ერთს მაღალ სერზე და შეუტყვიათ, რომ პოლიციელნი აღარ ეშვებოდნენ, მაშინ კი შეჩერებულან და აუტეხიათ იქიდან სროლა. სროლის დროს დაუჰრიათ ერთი ყაჩაღთაგანი და მეორეს, როცა დრო მოუხელებია, გაქცეულა. დაჰრილ უცნობ კაცს განუგრძვია თოფის სროლა, მაგრამ როცა შეუტყვია, რომ ვეღარას გავხდებიო, თითქოს იმ განზრახვით, რომ ცოცხალი მდევართ არ დანებებოდა, მოფარებულს ხეს ჩამოსცლია და გული ტყვიისათვის მიუშვერია; ყარაულთ კიდევ დაუხლიათ თოფი და იქვე მოუკლავთ. მოკლულს აღმოსჩენია ერთი ბერდანკა, რევოლვერი, 1 მ. 40 კაპ. ფულად, 4 ბოთლი სასმელები და ორი წყვილი ჩუსტი. როგორც ამბობენ, მოკლულს აღმოსჩენია კიდევ ვითომც ებრაელისათვის წართმეული ვერცხლის ქამარი 60 მან. ღირებული. მოკლულის ვინაობა ჯერაც ვერ გამოურკვევიათ; ზოგიერთებს ეჭვიც დაებადათ, ვითომც იგი ყაჩაღი არ უნდა იყოსო, მაგრამ ნამდვილად ჯერ არა იციან რა. საქმე გამომძიებელს გადაეცა, და ვნახოთ როგორ გამოირკვევა ეს საქმე. ამ ამბის გამო ადგილობრივ მოვიდა შორაპნის მაზრის უფროსი, რომელმაც დაათვალიერა ის ადგილი, სადაც პოლიციის მოხელეებსა და ყაჩაღებს შეტაკება მოუხდათ; მოკლულის გვამი სურათის გადაღების შემდეგ იქვე, გზის პირას, მიწაში დაასაფლავეს. საზოგადოდ, ადგილობრივი ბოქაული ბ-ნი ჟღენტი მადლობის ღირსია, რომ წინანდელ ბოქაულებთან შედარებით, თვალყურს ადევნებს, რათა მშრომელ ხალხს მუქთა და მაწანწალა ქურდ-ბოროტ-მომქმედნი მოაშოროს.

წელს ჩვენსკენ იანვრიდანვე ისეთი დარები დგას, რომ ზამთრისა არა შეგვიტყვია რა, თუმცა მარტის თვის ბოლო რიცხვებში, იმ დროს, როცა ხეხილი უკვე გამოსული იყო, გვარიანად ჩამოთოვა, მაგრამ იღბლად არ მოუწვავს არც ვენახი, არც ხეხილეულობა და არც სხვ. კარგი პირი უჩანს პურს, რომელიც ჯეჯილად კარგად წამოვიდა. მხოლოდ მუშა ხალხს ავიწროვებს ის გარემოება, რომ მეტი სიცხე—ზენა ქარისაგან ისე გახმა ხნული, რომ სიმინდისა, ქერისა და სხვათა თესვას მეტად ხელს უშლის. საზოგადოდ, ხალხში ჯანმრთელობაა და არავითარი გადამდები სენი არ არის გავრცელებული.

—

**ქ. თელავი.** თელავის თავში აღმოსავლეთის მხრივ ერთ პატარა გორაზე აშენებულია. ეკლესია სამების სახელობაზე. თვით ეკლესია თაღიანია და პატარა, ასე სიგრძით 2—$2^1/_2$ საჟენი იქნება, ხოლო სიგანით 2 საჟენი. ტრაპეზი ჯერ ისევ ხელ უხლებელია, ხოლო თვით ქვითკირისაა და თავი აქვს გაფუჭებული. კანკელზე, მაღლა ხუთი ძველი ხელოვნური მხატვრობა ხუცური ზედ წარწერით, ჯერ ისევ შეუბღალავად დარჩენილა. მხატვრობანი: შობა ქრისტესი, ნათლის ღება, აღდგომა, ფერისცვალობა და ამაღლება წარმოადგენენ, ძველ-ჩვენ წინაპართაგან ხელოვნურს ნაწარმოებს, რომლის დაკარგვა სამწუხარო იქმნებოდა. ხოლო დაბლა-კი სრულებით გაუქმებიათ გამხეცებულ კაცთა ხელებს. იქ ჯერ კიდევ ნათლად ეტყობა დანით ნაჩხვლეტი. ხელით ნახევი, ტყვიასგან შეტრუსული და დაგლეჯილი. აღბად აქ უვარჯიშნიათ ბოროტებით აღვსილ სულებს. ერთი სიტყვით ეს ხდება უბრალო სახლად, სადაც შეიყრებიან ხოლმე მთვრალი თავხედი რაინდები და თამაშობენ ბანქოს ავდრიან დღეებში მიუხედავად იმისა, რომ კარები დაკეტილია პატარა კლიტით, მაგრამ ეს ხომ ამათთვის არაფერ გაჭირვებას არ შეადგენს; ნეტა ამას დასთანხმდნენ და შემდეგ არ დაუწყონ წმიდათა-წმიდას წაპილწვა და მასხარად აგდება. ეს ეკლესია დღესასწაულობს აღდგომის მესამე დღეს – სამებობას. დილიდანვე დიდ-ძალი ხალხი შეიყარა, თუმცა ყველა შევიდა და სანთელი დაანთო, მაგრამ არც—ერთის თვალი არ მიიპყრო ეკლესიის მდგომარეობამ. ეს ეკლესია თელავის საკათედრო სობოროს კრებულის მფარველობის ქვეშ იმყოფება, და იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ დეკანოზი მიხეილ ხელაშვილი, რომელმაც თავის გამოსვლის შემდეგ თელავში, ბევრ უყურადღებოდ დატოვებულ ეკლესიებს მიაქცია ყურადღება, ითავა მისი განახლება და სხვა ბევრი საკეთილო და სასარგებლო საქმის გაკეთება და იმედია, ამასაც არ გაუშვებს უზრუნველად, შეჰკრებს შემოწირულებას თუნდა მარტო ამ დღეს მლოცველთაგან; განაახლებს მხატვრობას და ეკლესიას, ისე რომ შესაძლებელი გახდეს შესრულება ლოცვა-წირვისა, თორემ გავლენ დრონი და ეს ეკლესია თავხედ გამხეცებულ ხელთა და შეუბრალებელ ბუნების მოვლენათაგან სრულიად განადგურდება და მოისპობა.

დიმიტრაშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

არც დრო, არც სურვილი არ მაქვს აღვნიშნო ამ წერილში სუყველა ის, რაც, ჩემის აზრით, არის უტყუარი საბუთი იმისა, რომ ზოგნი აგრეთ წოდებულნი ჩვენში საზოგადო მოღვაწენი ერთობ და ერთხელვე შესწყრომიან ჭეშმარიტებას და გადასცილებიან სიმართლის გზას. ამ აზრის დასამტკიცებლად საკმაო არის მოვიყვანო ერთი უკანასკნელი კორრესპონდენცია ქუთაისიდან, მოთავსებული გუშინდელ «ც. ფ.» მე-1425 ნომერში. კორრესპონდენტი, სხვათა შორის, ამობს: «სწორედ იმის შემდეგ, რაც საქმე დაიწყო და სასურველად მიდიოდა, გამოცხადდა ბ. ქიქოძის კანდიდატურა». არ ვფიქრობ, რომ ბ. კორრესპონდენტს მოკლე მეხსიერება ჰქონდეს და, მაშასადამე, არ ახსოვდეს, რომ «ბ. ქიქოძის კანდიდატურა გამოცხადდა» იმავე წუთს და იმავე დღეს, რა დღესაც და წუთსაც გამოცხადდეს ბ.ბ. პეტრიაშვილის და ზღანოვიჩის კანდიდატურა, და არა მაშინ, როცა ვითომ საქმე გაკეთდა და გაჩაღდა; ამ კანდიდატებზე ლაპარაკობდნენ გაზეთებშიაც, ეს სხვაზედ უფრო კარგად და წინედ იცოდა ბ. კორრესპონდენტმა, რაკი თვით დაესწრო იმ კერძო, რიცხვით ცოტა კრებას, სადაც პირველადვე აღიძრა ლაპარაკი ქ. ქუთაისის თავის კანდიდატებზედ: მე აქ არას ვიტყვი იმის შესახებ, რომ «ბ. ქიქოძის კანდიდატურა» ორი წლის წინადაც იყო გამოცხადებული. ამავე სხდომაზედ პირველივე ნაბიჯს ზოგიერთა ჩვენი ქალაქის მოჭირნახულეთა ქალაქის თავის კანდიდატების ძებნის შესახებ უწოდა ერთმა პატივცემულმა ქუთათურმა მოღვაწემ: «იმერულ ხრიკები», და ეს სიტყვები, რომელნიც, ჩემი აზრით, საუცხოვოდ ახასიათებს ზოგიერთ «ვაჟბატონების მოქმედებას», განვიმეორე საბჭოს სხდომაზე 26 მარტს თანდასწრებით: «როგორც უწოდა ერთმა» და სხვ.

ბ. კორრესპონდენტის აზრით კი: «სუყველა (რასაკვირველი ია, კომისიის წევრნი) ხელმძ... ნელობდნენ საზოგადო ... და ... მოქმედებდნენ». აი სწორედ აქ არის თავი... ბოლო, ერთად ერთი ... ... ებისა იმათთან, რომელნიც ფიქრობენ ბ-ნ კო... რესპონდენტთან ერთად. კაცს სულში და გულ... ვერავინ ჩაუძვრება და ამ გზით იმის წადი... და ლტოლვას ვერ შეიგნებს: თვით გარეგანმ... კაცთა მოქმედებამ უნდა გვიჩვენოს როგორ... თვით ეს ლტოლვანნი და მისწრაფებანი, ... რეთვე მათი ვარგისობა და უვარგისობა. ფაქ... ტებს ვერ უარვყოფთ, იმათი აზრის შეგნება ... სულ სხვა არის, მაგრამ არიან ფაქტნი, რომელთა ენა ძალიან გასაგებია და რომელ... თა აზრის შესახებ ორაზროვნება შეუძლებე... ლია. ავიღოთ ფაქტები, მოქმედებანი იმ პი... რებთა, რომელთაც ასე ექომაგება ბ. კორრესპო... დენტი.

1) მეცნიერი ქიმიკოსის მოწვევა მოურავ... და მერე სად? ქუთაისში! ვის არ მოუვა ღი... მილი ამგვარ საქციელის გამო? სხვა რომ არ... იყოს რა, რა კავშირი არის მეცნიერი ქიმიკოსი... ჭკუა-გონებისა და ქ. ქუთაისის მოურავის ვალდე... ბულებათა შორის? არ შესაფერისი აპარეზი არი... «ქუთაისის ქუჩები, საბჭოს და გამგეობის დაკ... წული საქმეები» მეცნიერი ქიმიკოსისა და ღირ... სავარჯიშო სფერა მისი სპეციალური სამეცნიერ... მიმართულებისა? თვით პასუხი ჩვენი სასიქადულ... მეცნერისა, რომელიც არც კი წაუკითხავს ვრცლა... 26 მარტს საბჭოს სხდომას, ამხილებს, სხ... რომ არა ვსთქვათ, იმათ უტაქტობას, რო... მელთაც ასე ექომაგება ბ. კორესპონდენტ... შეიძლება სთქვან: «შევცდით»; შეცდომ... არავინ არის, მაგრამ ამის თქმას კი არ ... დრულობენ (სათაკილო არის!?), ეს ერთი; მ... ორე, შეცდომაც არის და შეცდომაც.

2) მოწვევა ბ. ზღანოვიჩისა. თვით ინიცი... ტორნი ახლანდელი ქუთაისის ალიაქოთი... ადიარებენ, რომ ბ. ზღანოვიჩს დიდი საქ... აწევს კისრად და ამ საქმის გონივრულად წ... წაძღოლას დიდი შედეგი ექნება ჩვენი ქვეყნ... სათვისო. ღაღადებენ იმასაც, რომ ქუთაისი... ქალაქის საქმეები ძრიელ აწეწილი არისო, ბევრ... შრომა და თადარიგი უნდა იმათი თავის მ... ურასო. არ არის საჭირო მოვიყვანოთ აქ ... რაოდენად მართალნი არიან ამა ყოვლის მ... ღადებელნი: საკმარისი არის აღნიშვნა, რომ ბ. ზღანოვიჩს რთული, ძნელი და საპასუხ... საქმე უჭირავს ხელში; ქალაქ ქუთაისის საქმ... ებიც ამ თვისების არიან ქუთაისისათვის. ... დასკვნაა შესაძლებელი აქედან? ერთად ერთ... ბ. ზღანოვიჩს ხელს ნუ უშლით, ნუ გლეჯ... იმას იმ საქმეს, რომლის ბედი და იღბა... არის მის ხელში. ქალაქს უპოვნეთ სხვა, უფრ... თავისუფალი, რომელსაც შეეძლოს თავისი დრ... და ძალა მოახმაროს ქალაქს. სხვანაირი დასკვ... ზემო აღნიშნულ გარემოებათაგან, ჩემი წრფე... ლი აზრით, ჭკვა ლოღიკის ღალატობაა.

ვფიქრობ, ზემოდ მოყვანილი საკმაოდ ახ... სიათებს კორესპონდენციის თავ-და-თავ აზრ... და ამტკიცებს სრულ უსაფუძვლობას ასე უხვა... ჩემდამო მოძღვნილ საყვედურებისას.

მ—სე ქიქოძე.

რედაქტორი ალ. ჭყონია.

გამომცემელი ალ. ჯაბადარ...

## პეტერბურგის ბირჟა 6 აპრილს.

| | მყიდვ. | გამყ. | გაყიდ. |
|---|---|---|---|
| | მ ა ნ ა თ | | |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | 96 | — | — |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | | — | 100 |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა. . . . . | — | 96 | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. . . . . . | $349^1/_2$ | — | — |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | $285^1/_2$ | — | — |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | — | — | 220 |
| $3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა . . . . . . . . . . | $88^5/_8$ | — | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ . . . . . | $92^1/_2$ | — | — |
| $4^1/_2$% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . . . . | $86^1/_2$ | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ . . . . . . | — | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 93 | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . | 93 | — | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა . . . . . . . . . | $84^1/_2$ | — | — |